განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარინე გვრიტიშვილი

წევრი: იანინა გიგიბერია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ. 406129602

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2018 წლის 2 ნოემბერს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტის“ მარნეულის წარმომადგენლობაში განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი, რომელიც დაკავშირებული იყო ფართის ცვლილებასთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-7 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა მატერიალური რესურსის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა. კერძოდ, დათვალიერებული იქნა სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილი ფართი, ადგილზე შემოწმდა პროგრამებისთვის განკუთვნილი ინვენტარი და რესურსები, ასევე, უსაფრთხოებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. შემოწმდა სტანდარტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოება/შენახვის პროცედურები და სხვა.

მიუხედავათ იმისა, რომ აღნიშნული ვიზიტი ეხებოდა მხოლოდ მატერიალური რესურსის სტანდართან შესაბამისობის დადგენას, დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალთან დადებული განახლებული შრომითი ხელშეკრულებები, სადაც სამუშაო ადგილად მითითებულია კოლეჯის ახალი მისამართი.

ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად და მასში ცვლილებების საჭიროება არ დამდგარა.

ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ, მშვიდ და საქმიან გარემოში.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

	შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	□	■
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია	**მუხლი 7 /**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

	პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

	რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.			

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტი-2.1 ბ) დარღვეულია სამი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის (ოფისის მენეჯერის, კბილის ტექნიკოსის და ინფორმაციული ტექნოლოგიების) გამო.

პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილ აუდიტორიებში ვერ მოხერხდება პროფესიული სტუდენტების იმ რაოდენობის განთავსება (მათ შორის, ორ ცვლაში), რაც კოლეჯს აქვს განსაზღვრული ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით.

- **ოფისის მენეჯერი** (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული ზღვრული რაოდენობა 58) --მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 40 სტუდენტით (ორ ცვლაში). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილ აუდიტორიაში (19,70 კვ.მ) დგას 6 მერხი და 30 სკამი. თუმცა მერხები და სკამები ზედმეტად ახლოსაა განთავსებული ერთმანეთთან და ზრდასრული ადამიანისთვის მოუხერებელი იქნება დაჯდომა.
- **კბილის ტექნიკოსი** (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული ზღვრული რაოდენობა 26) - --მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 20 სტუდენტით (ორ ცვლაში). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილ აუდიტორიაში (17,10 კვ.მ) დგას 2 მერხი და 10 სკამი.
- **ინფორმაციული ტექნოლოგიები** (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული ზღვრული რაოდენობა 50) - --მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 40 სტუდენტით(ორ ცვლაში). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილ აუდიტორიაში (15,55 კვ.მ) დგას 4 მერხი და 20 სკამი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფმა, შემდგომში სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებას გაუწია რეკომენდაცია, კერძოდ:

2.2

ის აუდიტორიები, სადაც ფანჯრებს (ბუნებრივ განათებას) ფარავს კორპუსი, გადატანილი იქნას ვიტრაჟების მხარეს მდებარე აუდიტორიებში.

VII. დაწესებულების მისია

საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის" მისიაა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებით უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სტანდარტების შეფასება

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების სარგებლობაშია ქ. მარნეულში, რუსთაველის 12-ში მდებარე შენობის მეორე და მესამე სართული, განაშენიანების ფართობი არის 304 კვადრატული მეტრი (სულ 608 კვ.მ).

ქ.მარნეულში, რუსთაველის 12-ში განთავსებული ფართის მეორე სართული მოწყობილია სასწავლო პროცესისათვის (ჯამში - 13 ოთახი): გამოყოფილია 9 აუდიტორია, ასევე, დირექტორის (16,90 კვ.მ), დირექტორის მოადგილის (7,80 კვ.მ), სამედიცინო დახმარების ოთახები (7,80 კვ.მ) და ბიბლიოთეკა (9,70 კვ.მ).

მესამე სართულზე არის ერთიანი სივრცე, არ არის გამოყოფილი ოთახები და შესაბამისად არ გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	მარნეული, რუსთაველის 12	II სართული - 304 III სართული - 304
2.	ქუთაისი, გრიშაშვილის 7	902.95

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აზომვითი ნახაზით;
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (N [redacted]);
- იჯარის ხელშეკრულებით N 22- ფ (05.09.2018);
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ოთახები მოწყობილია პროფესიული სტანდარტისა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. აუდიტორიები გამოყოფილია:

- ექთნის თანაშემწისა და პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (17,80 კვ.მ), 4 დიდი მერხით და 20 სკამით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 15 და 20);
- კბილის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის (17,10 კვ.მ), 2 დიდი მაგიდით და 10 სკამით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 26);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის (15,55 კვ.მ), 4 დიდი მერხით და 20 სკამით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 50);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბაგა-ბაღის აღმზრდელის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (16,80 კვ.მ), 4 დიდი მერხით და 20 სკამით, ასევე, კომპიუტერით, პროექტორით და კომბაინით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 35);
  ბაგა-ბაღის პროგრამის აუდიტორია ასევე აღწურვილია მოდულებში გაწერილი ინვენტარით და მასალებით.
- მასაჟისტის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (6,9 კვ.მ), 2 მერხით და 6 სკამით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 10);
- ბუღალტერის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (15 კვ.მ), 4 მერხით და 17 სკამით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 20);
- ფარმაცევტის თანაშემწის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (10,90 კვ.მ), 3 მაგიდითა და 13 სკამით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 26);
- ოფისის მენეჯერის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (19,70 კვ.მ), 6 მერხით და 30 სკამით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 58)
- კომპიუტერული ლაბორატორია (21,60 კვ.მ), 12 კომპიუტერით, მაგიდებითა და სკამებით.
  ყველა ოთახში არის მასწავლებლის მაგიდა, სკამი და დაფა.

დაწესებულებას არ აქვს პროგრამებიდან გამომდინარე (გარდა „ბაგა-ბაღის აღმზრდელის“) რაიმე სპეციფიური ინვენტარი (მულაჟები, პროფესიული ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა). როგორც კოლეჯის ადმინისტრაციაში განგვიცხადეს (და სილაბუსებშიც მითითებულია), პრაქტიკული კომპონენტი მთლიანად გატანილი აქვთ პრაქტიკის ობიექტებზე.

შეფასება:
ხარვეზი:

ქვესტანდარტი-2.1 ბ) დარღვეულია სამი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის **(ოფისის მენეჯერის, კბილის ტექნიკოსის და ინფორმაციული ტექნოლოგიების** პროგრამის) გამო.

პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილ აუდიტორიებში ვერ მოხერხდება პროფესიული სტუდენტების იმ რაოდენობის განთავსება (მათ შორის, ორ ცვლაში), რაც კოლეჯს აქვს განსაზღვრული ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით.

- **ოფისის მენეჯერი** (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული ზღვრული რაოდენობა 58) --მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 40 სტუდენტით (ორ ცვლაში). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამისათვის განსაზღვრულ აუდიტორიაში (19,70 კვ.მ) დგას 6 მერხი და 30 სკამი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუმცა მერხები და სკამები ზედმეტად ახლოს დგას ერთმანეთთან და ზრდასრული ადამიანისთვის მოუხერებელი იქნება დაჯდომა.

- **კბილის ტექნიკოსი** (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული ზღვრული რაოდენობა 26) - --მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 20 სტუდენტით (ორ ცვლაში). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამისათვის განსაზღვრულ აუდიტორიაში (17,10 კვ.მ) დგას 2 მერხი და 10 სკამი.
- **ინფორმაციული ტექნოლოგიები** (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული ზღვრული რაოდენობა 50) - --მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 40 სტუდენტით(ორ ცვლაში). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამისათვის განსაზღვრულ აუდიტორიაში (15,55 კვ.მ) დგას 4 მერხი და 20 სკამი.

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აზომვითი ნახაზით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის, შექმნილია შესაბამისი გარემო- არის ელექტროენერგია. ვიზიტის პერიოდში ქვითრების შემოწმება ვერ მოხერდა, რადგან დაწესებულებას მითითებულ მისამართზე აბონენტად (დენის და წყლის) დარეგისტრირების შესახებ განაცხადი გაკეთებული ჰქონდა წინა თვეში, რაზეც მიღებული აქვს თანხმობა.
სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოყოფილ ყველა ოთახში არის ბუნებრივი განათება, მხოლოდ, სამ ოთახში („კბილის ტექნიკოსის“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ასევე, „ბაგა-ბაღის აღმზრდელის“ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილ ოთახებში) ფანჯარას ეფარება გვერდით აშენებული შენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, ბიბლიოთეკაში არ არის პირველადი განათება, თუმცა დაბალი კედლებისა და დიდი ვიტრაჟების ხარჯზე ოთახი საკმაოდ ნათელია.
შენობის მეორე სართულზე არის ერთი სველი წერტილი ქალებისთვის და ერთიც სსსმ პირებისთვის. მესამე სართულზე არის სველი წერტილი მამაკაცებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარული ნორმები.
დაწესებულებამ წარმოადგინა გამათბობლების შეძენის ნასყიდობის ქვითრები, ასევე მომსახურების ხელშეკრულება, ცენტრალური გათბობის დამონტაჟებასთან დაკავშირებით. ექსპერტების მიერ შემოწმდა გათბობის დასამონტაჟებლად გამზადებული ინვენტარი და მასალები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გასაუბრებით;
- ნასყიდობის ხელშეკრულებით;
- მომსახურების ხელშეკრულებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია წიგნადი ფონდი, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით. ბიბლიოთეკაში დგას 2 მაგიდა და 8 სკამი (რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს წიგნებით ადგილზე სარგებლობისთვის) მკითხველებისთვის და 1 მაგიდა და სკამი ბიბლიოთეკარისთვის, ასევე, 1 კომპიუტერი და 1 პრინტერი.
„ბიბლიოთეკის მუშაობის წესები“ და დებულება გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულების ვებ გვერდზე აგრეთვე განთავსებულია ელექტრონული საძიებო სისტემა OPEN BIBLIO.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ბიბლიოთეკარი (15 წლიანი სამუშაო გამოცდილებით).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული ლიტერატურა გადამოწმდა შემთხვევითობის პრინციპით. ყველა რესურსი ინახება ბიბლიოთეკაში.

წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ჟურნალში გატარებულია პროგრამების მიხედვით. ასევე, ელექტრონული მასალა პროგრამების მიხედვით განთავსებულია დისკზე, რომლის ამობეჭდილი ვარიანტიც ინახება ბიბლიოთეკაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წიგნების შესყიდვის დოკუმენტაციით;
- აღრიცხვის ჟურნალით;
- ვებ გვერდით;
- ელექტრონული რესურსებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობასა და დაწესებულების მართვაში. წარმოდგენილი პროგრამების განკუთვნილ აუდიტორიებში, ასევე ბიბლიოთეკაში, განთავსებულია 15 კომპიუტერი, 2 პროექტორი, 3 კომბაინი და 1 პრინტერი (მათ შორის ერთი ფერადი პრინტერი „ბაგა-ბაღის აღმზრდელის“ პროგრამისთვის).

3 კომპიუტერი და 1 კომბინირებული პრინტერი (ქსეროქით და სკანერით), განთავსებულია ხარისხის მართვის სამსახურში და დირექციაში. მათი გამოყენება ხდება დაწესებულების მართვაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე დაწესებულების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

სულ, ჯამში, დაწესებულების საკუთრებაში არის 18 კომპიუტერი (პერსონალური კომპიუტერი და ნოუთბუქი), 5 პრინტერი/კომბაინი, 2 პროექტორი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის აქტებით და ზედნადებებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტს“ შემუშავებული აქვს „საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქცია“ (დამტკიცების ბრძანება N7, 23.10.2014). ინსტრუქციაში ასახულია დოკუმენტაციის დამუშავების წესი- კოლეჯის დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის, ხელშეკრულებების აღრიცხვის, შიდა დოკუმენტაციის სისტემაში აღრიცხვის, შემოსული და გასული კორესპონდენციის სისტემაში აღრიცხვის, დოკუმენტის განხილვისა და პასუხის მომზადების წესი, კონტროლი შემოსული კორესპონდენციის შესრულებაზე. ზემოაღნიშნული ინსტრუქციის თანახმად, დაწესებულება გამოცემული აქტების, კორესპონდენციის, ბრძანებების, ხელშეკრულებების და ა.შ აღრიცხვას აწარმოებს ელექტრონული პროგრამით, რომელზე წვდომაც აქვს მხოლოდ დირექტორს და ხარისხის სამსახურის თანამშრომელს. ექპერტების მიერ შემოწმდა პროგრამის ფუნქციონირების სპეციფიკა.

დიპლომების აღრიცხვა წარმოებს დოკუმენტურად. აღნიშნული ჟურნალი ინახება დაწესებულების ქუთაისის ადმინისტრაციაში. ექსპერტების მოთხოვნის საფუძვლელზე, გამოგზავნილი იქნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფოტოები, სადაც ჩანდა, რომ ჟურნალები არის ზონარგაყრილი და შესაბამისი წესით დამუშავებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქციით (დამტკიცებული N7 ბრძანებით 23/10/2014).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შინაგანაწესში გაწერილი აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (შინაგანაწესი, თავი მე-9 და მუხლი 39-43).

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

სასწავლო სივრცეში განთავსებულია ვადიანი დამუხტული ცეცხლმაქრები, რომელიც შესაბამისობაშია საევაკუაციო გეგმის მოთხოვნასთან, ასევე დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

სპეციალური სამსახურის მიერ შესრულებული და დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა გამოკრულია თვალსაჩინოდ - მეორე სართულზე ორ ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი გაწერილია ორგანიზაციის შინაგანაწესში (მუხლი. 43), აქვე გაწერილია ექთნის უფლება-მოვალეობები.
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, ბრძანებით დანიშნულია კვალიფიური მედდა, რომლიც ზრუნავს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. მედდის კვალიფიკაცია გადამოწმებული იქნა ექსპერტების მიერ.
დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი, რომელშიც განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტები (ვადები დაცულია) და აღჭურვილობა, აქვთ მოსასვენებელი ტახტი.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან. წესრიგის დაცვის მექანიზმები ასევე გაწერილია შინაგანაწესში - თავი მე-9. დამონტაჟებულია და მოქმედებაშია ვიდეოსათვალთვალო სისტემა. დამონტაჟებულია განგაშის ღილაკი, კვამლის დეტექტორები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ცეცხლმაქრების შესყიდვის და დამუხტვის აქტებით (19/10/2018წ).
- ობიექტის დაცვის ხელშეკრულებით (20/10/2018წ)
- შინაგანაწესით, დამტკიცების ბრაძანებით N113 (28/12/2017 წ)

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის. შენობის კიბეებზე, პირველიდან მეორე სართულამდე დამაგრებულია პანდუსები, ასევე პანდუსია აშენებული დაწესებულების კარამდე მისასვლელად სამანქანო გზის მხრიდან. მეორე სართულზევე არის სსსმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი www.cceliti.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ:
მისია, სტრუქტურა, აქტივობები, ვაკანსიები, ტენდერები, პროგრამები (საგნობრივი/მოდულური/სასერთიფიკატო), ცხრილები, გამოცდები, ბიბლიოთეკა, ინკლუზიური განათლება, საერთაშორისო კავშირები, დამსაქმებლები, ფოტო-ვიდეო გალერეა და სხვა.
რეგულაციები: წესდება, შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი აქტები, დაწესებულების ერთწლიანი (2018-2019 წწ) და 6 წლიანი გეგმები, დაწესებულების პერსონალი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.
ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად (ბოლო სიახლე განთავსებულია 2018 ოქტომბერში).
ასევე შექმნილია კოლეჯის Facebook გვერდი, რომლის მართვა და განახლება ხორციელდება რეგულარულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით www.cceliti.ge ;
- ხელშეკრულებით დომეინის, ვებ -ჰოსტინგის მომსახურების შესახებ (23/10/2014 წ);
- სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით (5/10/2018წ).
-

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 6 წლიანი სტრატეგიული (2014-2020 წწ) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია კოლეჯის მიზნებთან და მისიასთან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან.

დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2014-2020წწ) და 2018-2019 წწ ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, ითვალისწინებს მატერიალური რესურსების გაუმჯობესების მექანიზმებს. სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია სტრატეგიის მიზანი, სტრატეგიული ამოცანები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

2018-2019 წწ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს ინფორმაციას: სტრატეგიული მიზნების, ამოცანების, განხორციელების ვადების, შესრულების ინდიკატორების და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული შესახებ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც, სტრატეგიულ გეგმას დასამტკიცებლად წარადგენს კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების კომიტეტი.

კომიტეტი ასევე აკეთებს წინა წლის სამოქმედო გეგმის ანალიზს და შესაბამისად, ახდენს ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენას.

გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის ბრძანებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ექვწლიანი სტრატეგიული გეგმა (განახლებულია ბრძანებით N102, 15/12/2017წ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (ბრძანება N108, 22/12/2017წ) .
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია - ინსტრუქცია

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. - ვიზიტის დღის წესრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018წ